

## ოქმი N7

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2019 წელი, 1 მაისი  
ქ. ოზურგეთი  
11.00 სათი -14.30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ.ღურჯუმელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმომქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ე.გორდელაძე, ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, ბ.ქათამაძე, ლ.მგელაძე, ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე, შ.გოგობერიძე, დ.ჭაკნელიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ხ.ცერცვაძე, ვ.ჩიგოგიძე, მ.გოგოტიშვილი, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, ვ.ბერიძე, ლ.ნინიძე, პ.კიღურაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ვ.ნიჟარაძე, ლ.კილაძე, ალ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტულუში, ვლ.ღლონტი, ლ.სიჭინავა, დ.მჟავანაძე, მ.ბერიძე. მუნიციპალიტეტის მერი- კ.შარაშენიძე, მერის მოადგილე-ო.თოთიბაძე.

მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი მუშაკები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -45 წევრიდან

რეგისტრაცია გაიარა 38-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებამდე მუნიციპალიტეტის მერმა ვ.შარაშენიძემ ითხოვა ერთი საკითხის-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-დამატება, ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლიც დამტკიცეს დამატებული საკითხით და 38- ხმით.საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს წევრმა ვ.ჩიგოგიძემ საკრებულოს წევრებს და დამსწრეთ მიაწოდა ინფორმაცია ოზურგეთი-ხერსონი-გენიჩესკის მეგობრობის ამსახველი სამენოვანი ბუკლეტის სასიგნალო ეგზემპლარის გამოცემის თაობაზე და მადლობა გადაუხადა საკრებულოსა და მერიას ფინანსური მხარდაჭერისათვის.

## დღის წესრიგი

27.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: გია მამაკაიშვილი**

**გიორგი ჩაგანავა**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 38 -ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ-გ.დურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ოპოზიციურ ფრაქციებს დასკვნა არ წარმოუდგენია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე, ამასთან საკრებულოს შენიშვნებზე აუცილებელია (მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს) პასუხები წარმოდგენილიყო წერილობით.

ჟურნალისტმა მ.ჩიხლაძემ განაცხადა, რომ 5 მილიონი ლარის ნაშთი ხომ არ მიუთითებს ბიუჯეტის არასწორ დაგეგმვაზე? განუმარტეს- დიდი ნაშთი ძირითადად განაპირობა გარდამავალმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: კონსტანტინე შარაშენიძე**

საკრებულომ მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2018 წელში გაწეული მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

ანგარიშის მოსმენისას მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ მიმართა მომხსენებელს- როგორია მერის მოსაზრება: გარე ვაჭრობის რეგულირებაზე? , ავტომანქანების პარკირებაში კვლავ არსებულ პრობლემებზე?, რომელი ქონების მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის მოთხოვნას გეგმავს

მერი?, ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისას დასმულ შეკითხვებზე გაცემული ზოგიერთი პასუხი იყო უცნაური, რამ განაპირობა სარეზერვო ფონდის 92% სოციალურ დახმარებებში გაცემა?, რატომ არ იყო საუბარი ანგარიშში საკადრო პოლიტიკაზე?

ჟურნალისტმა მ.ჩიხლაძემ დასვა შეკითხვა-რატომ არ არის დანიშნული მერის წარმომადგენელი 4-ადმინისტრაციულ ერთეულში?.

მერმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს-მერია ცდილობს მოაწესრიგოს გარე ვაჭრობა როგორც აბაშიძის ქუჩაზე, ასევე, ბაზრის ცენტრალურ შესასვლელთან, სულ გადასაწყვეტია 10- 12 გარე მოვაჭრის პრობლემა, გადაწყვეტილია მათთვის მსუბუქი კონსტრუქციის ჯიხურების განთავსება შერჩეულ ტერიტორიაზე. პარკირებისათვის ეძებენ დამატებით ტერიტორიას, ანასეულის წყლით მომარაგება წყდება, 6 მილიონ ლარიან პროექტს შ.პ.ს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დააფინანსებს, იციან, რომ სარეზერვო ფონდი განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა დაიხრჯოს, მაგრამ ავადმყოფების რიცხვი მუნიციპალიტეტში, მისი დაკვირვებით გაორმაგდა და მოსახლეობა ითხოვს დახმარებას, მერია ცდილობს საკადრო პოლიტიკა წარმართოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ ორი მუნიციპალიტეტის გაერთიანებამ შექმნა პრობლემები. მერია ეძებს კადრებს მერის წარმომადგენლებად დასანიშნავად დარჩენილ სოფლებში.

საკრებულოს წევრმა თ.ტულუშმა დასვა შეკითხვა-გაგრძელდება თუ არა ზემო ნატანების წყლით მომარაგების პროექტი? მერმა უპასუხა, რომ ეს პროექტი დაიწყეს სხვებმა და ბოლომდე ვერ მიიყვანეს, მერია დაასრულებს სამუშაოს.

მერმა უპასუხა ელექტრონულად შემოსულ მოქალაქეთა შეკითხვებს-სოფელ გაღმა დვაბზუდან ქ.ბერუჩაშვილს-გაღმა დვაბზუ-ნასაკირალის დამაკავშირებელი და სოფელ შრომიდან მ.მიმინოშვილის-ეკალდიდი-დონაურის გზის რეაბილიტაციის თაობაზე.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ შ.გოგიბერიძემ დააყენა წინადადება მერის მიერ გაწეული მუშაობა შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ დასვა შეკითხვა-რას გეგმავს მერი მუნიციპალური სერვისების გაფართოებისათვის-მერმა უპასუხა, რომ რთული საკითხია, სერვისების გაფართოება დამოკიდებულია ბაზაზე, რომლის გაძლიერებისათვის ზრუნვაა პირველ რიგში აუცილებელი, უნდა განისაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები, მწვავედ დგას გარე განათების პრობლემაც.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ უმჯობესი იყო ანგარიშში კონკრეტულად ყოფილიყო საუბარი რა გაკეთდა და რა იყო დაგეგმილი, რა ვერ განხორციელდა, რა იყო ამის მიზეზი -ეს აინტერესებს მოსახლეობას.

საკრებულომ მერის მუშაობა 38 ხმით შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

ამის შემდეგ, 13,20 საათზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება. სხდომა განახლდა 13,30 საათზე, რეგისტრაცია შესვენების შემდეგ გაიარა 30 -მა საკრებულოს წევრმა.

13.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**  
**თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე**  
დადგენილება თან ერთვის  
მიღებულ იქნა 38-ხმით

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საზღვრებში კურორტ გომისძეთის მოქცევის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**  
**თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე**  
**ალეკო მამეშვილი**  
**ლავრენტი ბიგვავა**

საკრებულოს მიერ მოწონებულ იქნა მერის მიერ წარმოდგენილი წინადადება.

14.5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დადგენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**  
**თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე**  
**ალექსანდრე ბერიძე**

დადგენილება თან ერთვის  
მიღებულ იქნა 38-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ პროექტზე იყო შენიშვნები-ხმის მიცემის უფლების და სხვა საკითხებზე -განუმარტეს, რომ გათვალისწინებულია.

მიღებული იქნა გადაწყვეტილება ტერმინ „შესრულების კოეფიციენტი“-ს ნაცვლად ჩაიწეროს „ეფექტიანობის კოეფიციენტი“.

28.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**  
**თანამომხსენებლები: ოსიკო თოთიბაძე**  
**ლავრენტი ბიგვავა**

განკარგულება თან ერთვის  
მიღებულ იქნა 38 -ხმით

29.7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი“-ს (ს/კ.437064515) ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**  
**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**  
**ლაშა თავაძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 38 -ხმით

30.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: კ.შარაშენიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 38 -ხმით

მერმა უპასუხა სოფელ შრომიდან ელექტრონულად შემოსულ ვ.ჯაბუას შეკითხვას ეკალდიდის გზის პროექტირების თაობაზე.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო